პროლეტარებო ყველა ქვეყნის შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
დეკემბერი.
30
კვირა
შესხ. მოვლენათა დღიური

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა
კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე
გარდა კვირა უქმე დღეებისა
9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური
ფასი 1 მან. 20 კ.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 406 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 5 კაპ. ჩერ. № 406

ქ. მ. დივიზიის პარტ-ორგანიზაციების პასუხისმგებელ მდივნებს.

წინადადება გეძლევათ მომავალ კომუჯრედის ღია კრებებზე დასვათ საკითხი:

„საბჭოთა ხელისუფლება და „მაკრატლის“ პრობლემა“

მასალები: იხელმძღვანელეთ გაზ. „კომუნისტი“ ს №№ 296, 297 მოთავსებულ წერილებიდან.

ს. მ. დ. პოლიტ განყოფილება.

მეორე საბჭოთა ყრილობა.

დღეს ქ. თბილისში იხსნება სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოების და დეპუტატების მეორე ყრილობა.

ეს მეორეჯერ არის, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ იკრიბება საქართველოს მშრომელი ხალხის წარმომადგენლები, რათა ჯამი გაუკეთონ უკანასკნელი წლის მუშაობას.

ჯეროვანად შეაფასონ ის და მასთან ერთად გადასჭრან ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც წინ წამოაყენა ჩვენმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა ცხოვრებამ.

საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი წლის მუშაობის მთავარი ცენტრი მიმართული იყო, სახელმწიფო მეურნეობის აღდგენის ფრონტზე.

ამ მხრივ ბევრის გაკეთება შესძლო მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ. მარტო ასეთი ფაქტები საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებისა რესპუბლიკის სამეურნეო აღმშენებლობის სფეროში, როგორც არის ჩაიახის ქარხნის ამუშავება, ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა, სამიწო რეფორმის სისრულეში მოყვანა და საერთოდ მთელი წარმოების აღდგენის გზაზე დაყენება, ნათლად მოწმობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცე ხელებით შეუდგა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების აღორძინებას და კიდევაც ბრწყინვალე შედეგებს აღწევს ამ მხრივ.

გარდა ამისა უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა კლასის მდგომარეობა. მთავრობამ შესძლო სამუშაო ქირის მტკიცე ნიადაგზე დაყენება და მით უზრუნველყო მუშათა ულუფის მატერიალური მდგომარეობა.

ერთი სიტყვით სახელმწიფოს მუშაობის ყოველ დარგში მთავრობამ მიაღწია სასურველ შედეგებს.

საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფიერმა მუშაობამ, მისმა მტკიცე ეკონომიურმა პოლიტიკამ მშრომელი ხალხის [illegible], თავის თავად ცხად[illegible] ბოლო მოუღო ყოველგვარი ანტი საბჭოთა პარტიების არსებობას, რომლებიც გაიხრწნენ და თვით ლიკვიდაციის გზით შესწყვიტეს თავისი არსებობა.

ამიტომაც დღეს საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების და სურვილის ერთად ერთი გამომხატველი არის საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც ხელმძღვანელობს ძლევამოსილი კომპარტია.

მეორე საბჭოთა ყრილობა იკრიბება გაცილებით უკეთეს პირობებში ვიდრე პირველი. მის წინაშე სდგას მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც მან უნდა გადასჭრას ისე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა საქართველოს კეთილდღეობა.

უსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს მშრომელ ხალხისა და პროლეტარული რევოლიუციის სასარგებლოდ!

კომპარტიის ავტორიტეტი შეურყეველია.

გერმანიის გათავხედებული ბურჟუაზია, რომელმაც მუშათა კლასის გამყიდველებთან ერთად შესძლო დროებით შეეჩერებია მისი რევოლიუციონური წინსვლა, სასტიკად სდევნის ყოველგვარ რევოლიუციონურ, მუშურ ორგანიზაციებს და უმთავრესად კომპარტიას.

ის სცდილობს ძალადობით, მკაცრი რეპრესიებით, დევნით და დახვრეტით ძირშივე ჩაახრჩოს რევოლიუციონური მოძრაობა და პროლეტარიატის ყოველგვარი მისწრაფება,

ამასთან ერთად თავით ფეხებამდის ჩაძირული ფინანსიურ ქაოსში, ბურჟუაზია ეძებს გამოსავალს შექმნილ კრიზისისაგან სრულიად გაღატაკებულ მუშათა მასების ექსპლოატაციის გაძლიერების საშვალებით.

შეშინებული კრიზისის უფრო გართულების საფრთხით, გერმანიის ბურჟუაზია გაჩქარებული ნაბიჯებით ანხორციელებს თავის პროგრამას.

მიიღო რა ფართე სრულუფლებიანობა რეიხსტაგისაგან, ახალი უფროსი გერმანიის კაბინეტისა, მარქსი პირველ რიგში ახორციელებს ათი საათის სამუშაო დღეს; თან და თან ამცირებს სახელმწიფო მოსამსახურეების შტატებს; უწყვეტს უმუშევრებს დახმარებას, ამცირებს სამუშაო ხელფასს.

ცხადია გერმანიის ბურჟუაზიის ასეთი ზომები არამც თუ ანელებენ პროლეტარიატის უკმაყოფილებას, არამედ პირიქით აძლიერებენ მუშათა რევოლიუციონურ სულს და მიაქანებენ მას აქტიურ მოქმედებისაკენ.

ყოველი ახალი ნაბიჯი, ყოველი ახალი დასაწყისი მარქსის კაბინეტისა მიმართულია მუშათა კლასის წინაალმდეგ, მისი მოძრაობის ჩახშობისაკენ, და ცხადია, ეს იწვევს პროლეტარიატის სასტიკ წინაალმდეგობას თითქმის მუშები ყველგან სასტიკ წინაალმდეგობას უწევენ ათი საათის სამუშაო დღის შემოღებას.

განსაკუთრებული ყურადღება მარქსის ახალმა მთავრობამ მიაქცია კომუნისტურ პარტიას, არა ჩვეულებრივი გაფთრებით ეკვეთა ის კომპარტიის ორგანიზაციებს და მათი არსებობაც კი აკრძალა.

გერმანიის ბურჟუაზია ფიქრობს, რომ ძალადობისა და ხიშტების საშვალებით, ის შესძლებს გაანადგუროს კომპარტია და ჩაახშოს რევოლიუცია.

მაგრამ მათდა სამწუხაროდ გერმანიის კომუნისტური პარტია დღითი დღე იზრდება, მტკიცდება და მუშათა მასები თან და თან შედიან მის რიგებში.

მაგალითად კერძო დაწესებულების მოსამსახურეთა ცენტრალურ კავშირის ყრილობის არჩევნებზე სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2.800 ხმა, კომუნისტებმა 2.400. ეს ციფრები მოწმობენ მას რომ კომპარტია ძლიერია არა მარტო მუშათა მასებს შორის, არამედ ის უსაზღვროდ იზრდება ისეთ წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებს შორისაც კი, როგორიც არიან კერძო სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეები.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების „ელექტროს საერთო კომპანიის“ არჩევნებზე, მიუხედავად სოციალ-დემოკრატების ცხარე წინაალმდეგობისა, კომპარტიამ მიიღო 20 ადგილი, ხოლო ესდეკებმა 4.

მსგავსი ფაქტები ხდება ყველგან, სადაც კი ხდება არჩევნები მუშათა ორგანიზაციებში.

რას ნიშნავს ეს ფაქტები, თუ არა კომუნისტების გამარჯვებას?

და რაც არ უნდა იშმაგოს ბურჟუაზიამ და რაც უნდა ინკვიზიტორული ზომები არ მიიღოს კომუნისტების წინაალმდეგ, როგორც მაგალითად ჰამბურგში სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა კომუნისტს დახვრეტა აჯანყების დროს ოფიცერის დაჭრის გამო, კომუნისტური პარტიის გავლენა დღითი დღე იზრდება პროლეტარულ მასებში.

მისი ავტორიტეტი ურყევია მუშათა შორის.

და რაც უფრო მეტად შეავიწროვებს გერმანიის ბურჟუაზია პროლეტარიატს და მის ხელმძღვანელს კომპარტიას მით უფრო შეუწყობს ხელს მუშათა კლასის შეკავშირებას კომპარტიის გარშემო და მისი ძლიერების გადიდებას, მით უფრო დააჩქარებს ბურჟუაზიის თავის უკანასკნელ საათის მოახლოვებას—პროლეტარული რევოლიუციის ძლევამოსილ წინსვლას.

დ.

რადიო-დეპეშები

— იაპონია ისწრაფვის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ცნობისაკენ.

— გერმანიაში გარდაიცვალა ფაშისტურ გაზეთის „ფოლკიშერ ბეობახტერის“ რედაქტორი ერხადტი.

— ტეგერანში მოხდა მრავალ რიცხოვანი დემონსტრაცია ინგლისის ულტიმატუმის გამო ავღანისტანისადმი.

— შვეიცარიაში უმუშევართა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, რასაც მიაწერენ მრეწველთა საბოტაჟს.

— შეერთებულ შტატებში გაძლიერებულ იქნა პოლიციის შემადგენლობა, რათა თვალ-ყური ადევნონ შემჩნეულ პირებს რომელთაც სწამებენ მოსკოვთან კავშირს.

საბჭოთა კავშირი და კაპიტალისტური ქვეყნები.

იუზი თავისას გაიძახის.

იუზი განაგრძობს მის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტების სისწორის მტკიცებას, სადაც აცხადებს, რომ უარყოფა ჩიჩერინის მიერ—ეს არის „პროპაგანდა“. სახელმწიფოს დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ამხ. სტეკლოვის წერილის სრული ტექსტი. ბურჟუაზიული პრესა საერთოდ უთანხმდება სახელმწიფოს დეპარტამენტის აზრს და ამტკიცებს, რომ წერილის სრული ტექსტი სრულებით არ ეწინააღმდეგება იმ ამონაწერებს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო სახელმწიფოს დეპარტამენტის მიერ.

მიჩიგანის შტატის გენერალურმა პროკურორმა, რომელიც ბრალმდებლად გამოვიდა ფოსტერის პროცესზე, სენატის კომისიის საგარეო საქმეთა წარმომადგენელს განუცხადა, რომ ინსტრუქციების დედანში, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ამხ. ბუხარინი, რადეკი და გადმოგზავნილია მიჩიგანში, გასული წლის აგვისტოში მომხდარ კომუნისტურ ყრილობაზე, ვითომდა ნათქვამია: „ჩვენ უნდა წავაქეზოთ მუშათა კლასი, რათა მან ძალით დაანგრიოს სახელმწიფო წესწყობილება და ყოველი ღონის ძიება იხმაროს მთავრობის ცდების წინააღმდეგ, რათა უკანასკნელმა ვერ ჩააგდოს რევოლიუციონური პარტია ჰერქვეშ.

— გაზ. „ნიუიორკ უორლდ“-ი მოწინავეში სწერს: „იუზს არ შეუძლია საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებული ბრალდება მის წინააღმდეგ რომ ის სარგებლობდა ყალბი საბუთებით მიაფუჩჩოს. მან აუცილებლად უნდა წარმოადგინოს, რაც შეიძლება ჩქარა, დამამტკიცებელი საბუთები. ერთი მისი განცხადება, რომ იუსტიციის დეპარტამენტის განცხადებას ნდობით უნდა მოეპყრონ ეს არ კმარა, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხშირად შეჰყავთ შეცდომაში ჯაშუშებს. იუზმა, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის მდივანი და გამოჩენილი იურისტი, უნდა წარმოადგინოს დასამტკიცებელი საბუთები ან უარყოს უნდა თავისი ბრალდება.

სახელმწიფო დეპარტამენტი ცდილობს სტეკლოვის წერილების გამოქვეყნებით ჩიჩერინის ბრალდებიდან გაინთავისუფლოს თავი, რასაკვირველია კრინტი არ დაძრას კომინტერნის ინსტრუქციის სინამდვილის შესახებ.

ამერიკის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა ზინოვიევის დეპეშა ინსტრუქციის სიყალბის შესახებ, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ იუზს ძალიან ცუდი წარმოდგენა უნდა ქონდეს ამერიკის სენატზე, თუ თავის ბრალდებებს ამყარებს ამ ნაირ საბუთებზე.

პროგრესიული სენატორი უილერი შობის დღეების გამო მოუწოდებს იუზს შესცვალოს თავისი პოზიცია რუსეთის საკითხისადმი და მიუთითებს, რომ დროა დაანებოს თავი მძულვარებით აღსავსე ქადაგებას და სიყვარულით იცხოვროს დანარჩენ კაცობრიობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის პროვოკაციული მოქმედება.

იმ მოსაზრებით, რომ დაარწმუნონ სენატის კომისია საბჭოთა მთავრობის რევოლიუციონურ მუშაობის შესახებ ამერიკაში, გაძლიერებულ იქნა ფარულ პოლიციის მოქმედება, რომელიც თვალყურს ადევნებს იმ პირთ, რომელთაც იჭვიანობენ მოსკოვთან კავშირის დიჭერაში.

აუცილებელია კეთილსინდისიერი დამოკიდებულება რუსეთთან.

სენატორი ბორა გამოვიდა ახალი განცხადებით იუზას წინაამდეგ, რომელშიაც მიუთითებს, რომ იუზა და სახელმწიფოს დეპარტამენტი გასულელებულია. ბორა, ხაზს უსვამს რა ცნობებს რომლებიც ეხებიან რუსეთს და რიგიდან, გამოსულ გელსინგვორსსა და სხვა პუნქტებს, რომლებიც მდებარეობენ რუსეთის საზღვართან ახლოს, მიუთითებს არ შეიძლება გატარებულ იქნას საგარეო პოლიტიკა 140 მილიონიან ხალხის მიმართ ამ გვარი ინფორმაციების მიხედვით.

„ნიუ-იორკ უორლდ“-ი სწერს: იუზი არ უნდა ამტკიცებდეს საბ. მთავ. კავშირს კომინტერთან, არამედ უნდა დაამტკიცოს, რომ რუსეთის მთავრობა ხელს უწყობს რევოლიუციის გაღვივებას შეერთებულ შტატებში“.

გაზეთი იგონებს ყალბ ინფორმაციებს რუსეთის შესახებ, როგორც მაგალითად ქალების ნაციონალიზაციისა და ლენინის და ტროცკის სიკვდილის შესახებ. „ნიუ იორკ ამერიკენ“ სწერს: იუზას მოქმედება რუსეთის მიმართ წარმოადგენს დიდ შეცდომას. მთავრობა ვერ ჩაიდენდა უფრო ცუდ ბოროტებას, ვინემ ასეთი ყალბი წინასწარ განზრახული ცნობებით საზოგადოების მოტყუილება ისეთ საკითხში, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათი.

იუზი არა პირველი სახელმწიფო მდივანია, რომელიც სასტიკად სცდება რუსეთის პოლიტიკაში. ჯერ კიდევ ვილიონის პრესამ მოიწონა ყალბი დოკუმენტების გამოქვეყნება. ამერიკის ელჩმა რუსეთში ფრენსიმ შეგნებულად გაავრცელა საოცარი სიცრუე საბჭოთა მთავრობას წევრების შესახებ.

გაზეთი, მოითხოვს რა მიღებას ჩიჩერინის წინადადებისა საურთიერთო პრეტენზიების საკითხის გარშემო, სწერს: „ჩვენ უნდა სინდისიერად მოვეპყრათ რუსეთს, და უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი რევოლიუციის დროს ჩვენ კონფისკაცია უყავით უცხოელთა ქონებას და ყოველი ქვეყანა რევოლიუციის დროს ასევე იქცევა.

საბჭოთა ხელისუფლების გამძლეობა ეჭვს გარეშეა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა, ამახინჯებს რა ტენდენციურად ფაქტებს, აშუქებს რკპ—ს პარტიულ დისკუსიას. სუვარინი გაზეთ „იუმანიტეში“ არკვევს დისკუსიის შინაარს და მოაგონებს, რომ ასეთი დისკუსიები, როგორიც მოცემულია, არ გამოსჭვივის საბჭოთა ხელის უფლების გამძლეობაზე.

იუზას პოლიტიკის საფუძველი გაუსინჯავი ცნობებია.

ვაშინგტონის „ნიუ-იორკ გერალდ“ ის კორესპონდენტი თავის წერილში, სწერს რომ კულიჯი და იუზი ერთობ შეფიქრებული არიან პროგრესიულ სენატორების მოქმედებით რუსეთის საკითხში. ზოგიერთი სენატორი უკვე შევიდა რუსეთთან დამოკიდებულებაში თავის პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ. იუზი ამ სენატორების პოლიტიკას სთვლის ცდათ აიძულონ შეერთებული შტატები იცნონ საბჭოთა მთავრობა და ამით გამოიწვიონ განხეთქილება იუზსა და კულიჯს შორის.

კორესპოდენტი აღნიშნავს, რომ პროგრესიული სენატორები პასუხისმგებელია კულიჯის მოწერილობის ახსნაში რუსეთ-ამერიკის მოლაპარაკების შესაძლებლობის საკითხში.

კორესპონდენტის სიტყვით, სენატორებმა კულიჯის მოწერილობის გამოქვეყნების შესახებ ტელეგრამით აცნობენ მოსკოვს სადაც წინადადებას აძლევენ საბჭოთა მთავრობას—დაეწყო მოლაპარაკება სახელმწიფო დეპარტამენტთან.

კორესპონდენტის ცნობებით, პროგრესისტული სენატორების დაჯერება კულიჯის მიდრეკილების შესახებ რუსეთთან მოლაპარაკებაში წარმოსდგა იქიდან, რომ პრეზიდენტმა მოისმინა მათი რჩევა და საწინააღმდეგოდ არაფერი არ უთქვამს.

პროგრესისტებმა ყალბად გაიგეს პრეზიდენტის პოზიცია, ვინაიდან იუზსა და კულიჯს შორის სრული თანხმობა არსებობს.

როსტას კორესპონდენტთან საუბარში სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ იუზას რუსეთის პოლიტიკა ემყარება გაუსინჯავ ცნობებს.

რაზედ სწერენ გაზეთები

რუსეთი და საფრანგეთი.

გაზ. „იზვესტია“ ეხება საფრანგეთის და რუსეთის დამოკიდებულებას, რომელმაც უკანასკნელ დღეებში სულ სხვა სახე მიიღო, ვიდრე ეს წინათ იყო.

გაზეთი ეხება საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეების გამოსვლას საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში, ადარებს ამათ საფრანგეთის ძველ დიპლომატიას და სწერს.

„კლემანსო ხშირად ამბობდა, რომ ბოლშევიზმი უნდა დაიშალოს· საფრანგეთის დიპლომატიური მანქანა მუშაობდა ერთხელ მომართული წესით. საფრანგეთის დიპლომატებს ჯერაც არ გამოუღვიძიათ 19 წლის შემდეგ.

ეხლა საფრანგეთში გამოვიდნენ უფრო საღი გონების ადამიანები. ისინი იყვნენ ჩვენთან და აგიტაციას ეწეოდნენ, ეხლა კი მათ დაიწყეს თვალყურის დევნება ჩვენის მხრივ მათ შეხვდათ საღი აზრი, საღი აზრი კი საღ აზრთან ყოველთვის მოახერხებს შეთანხმებას. რეალური ინტერესები ყოველთვის მოგებული რჩება შეთანხმებისაგან. საბჭოთა რუსეთის აზროვნება ახალია, დანარჩენი სახელმწიფოები კი აზროვნებენ ძველებურათ...

ახალ მიზნებისათვის ახალ რუსეთს საქმე აქვს ძველ პარტნიორებთან. მეფის რუსეთს არ ჰქონდა ნაციონალური პოლიტიკის წარმოების ნიჭი. ეხლა რუსეთი ახალ სახელმწიფოდ გადაიქცა, პარტნიორები კი ისევ ძველები დარჩენ. აზიაზე შეტევას აწარმოებდენ მეფის რუსეთი და ინგლისი. ახალი რუსეთი არ განაგრძობს შეტევას, ინგლისი კი უფრო ძლიერათ უტევს ეხლა საფრანგეთი თითქოს თვითონ მოდის ჩვენთან. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. მაგრამ მან უპირველეს ყოვლისა ლაგამი უნდა ამოსდოს იმ მოუსვენარ ელემენტებს, რომელთაც გვისევდა ჩვენ 6 წლის განმავლობაში. ახლა რუსეთისათვის აუცილებელია სიწყნარე,—ამაშია საფრანგეთთან შეთანხმების უდიდესი აზრი ჩვენთვის.“

დიახ! კეთილი იყოს ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნების მობრძანება ჩვენთან, მაგრამ არა ისე, როგორც ისინი დღემდის მოდიოდნენ ე. ი. ცეცხლით და მახვილით, არამედ მშვიდობიან ურთიერთობის დასამყარებლად. ჩვენი პოლიტიკა აქეთკენაა მიმართული და ვინც ისურვებს ჩვენთან ვაჭრობას სიამოვნებით შევხვდებით მათ.

„საღი აზრი საღ აზრთან ყოველთვის შეთანხმდება. სხვებს შეუთანხმდით, შეუთანხმდებით საფრანგეთსაც. ამისაგან მოგებული დავრჩებით ორივე.“

გერმანიის ამბები.

ჰფალცის რესპუბლიკის ოფიციალური ცნობა.

საფრანგეთის ხელისუფლებმა სცნეს უფლება ჰფალცის სეპარატისტები —ზე პასპორტების მიცემისა, რაიც მოასწავებს სეპარატისტულ რეჟიმის ოფიციალურ ცნობას. გერმანიის მთავრობამ განაცხადა პროტესტი საფრანგეთის ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ.

პესიმისტური განწყობილება.

გერმანიის პრესა პესიმისტურად უცქერის პარიზში წარმოებულ საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკებას. პუანკარეს პასუხს მოელიან არა უადრეს იანვრისა.

კომისრის დანიშვნის პროექტის შეცვლა ტიურინგიაში.

პროექტი სრულიად გერმანიის მთავრობის კომისრის დანიშვნის შესახებ ტიურინგიაში შეცვლილ იქნა, რადგანაც მოსალოდნელია შეთანხმება სრულიად გერმანიის და ტიურინგიის მთავრობებს შორის.

თ ვისიანი ვერ იცნო.

კარის განკარგულებით მიუნხენში შეპყრობილ იქნა ფაშისტურ კავალერიის რაზმის სარდალი გრაფი ფრედნ.

ფაშისტების ბელადების სიკვდილი

გარდაიცვალა ციხიდან განთავისუფლებული ფაშისტურ გაზეთის „ფოლკიშერ ბეობახტერის“ რედაქტორი ერხარდტი. ერხარდტის სიკვდილი ახალი ხმების წყაროა. ფაშისტებმა გაავრცელეს ხმები გიტლერის თვითმკვლელობის შესახებ, რასაც ოფიციალურად უარყოფენ.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

ქალაქის განაპირა სოფლები.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა საგუბერნიო საოლქო აღმასკომებს, შესწყვიტონ დამოუკიდებელი გარდაქმნა სოფლის ხასიათის დასახლებულ პუნქტების ქალაქის განაპირა დასახლებულ ადგილებათ, სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის ნება დაურთველად.

ამხ. ოსინსკის ჩამოსვლა.

შვეციიდან ჩამოვიდა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამხ. ოსინსკი.

სასოფლო სამეურნეო კრედიტების ორგანიზაციულად გაცემა.

სახალხო სამეურნეო და მიწადმოქმედების კომისარიატების კოლეგიამ დაადგინა, რომ ყოველგვარი კრედიტი, რომელსაც აქვს მუშა საქონლის შეძენის დანიშნულება გადაგზავნილი იქნეს ადგილებზე განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის საკრედიტო საზოგადოებებში. ის იქნება გაცემული ხანგრძლივი ვადით და მხოლოდ და მხოლოდ მიეცემათ დაინტერესებულ მცხოვრებლებს კოოპერატივების საშვალების სამიწ საურთიერთო დამხმარე საზოგადოებების, და თვით გლეხებისაგან შემდგარ სპეციალურ გაერთიანების საშვალებით.

თავისუფალი წევრობა საერთო მომხმარებელ საზოგადოებებში.

საკავშირო ცაკმა გააუქმა მოქალაქეების აუცილებელი მიწერა საერთო მომხმარებელ საზოგადოებებზე და დააწესა წევრების სურვილისამებრ შესვლა და გამოსვლა მომხმარებელ საზოგადოებებიდან.

ინგლის ავღანიის ონფლიქტი.

საპროტესტო დემონსტრაცია.

ინგლისის ულტიმატუმთან დაკავშირებით ავღანისტანის მიმართ, ტეგერანში მოხდა საპროტესტო დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა, რომელიც 4.000 კაცისაგან შესდგებოდა, გაიარეს ინგლისის საელჩოს შენობასთან შავი დროშებით; დროშებზე იყო წარწერები, რომელშიაც გამოთქმული იყო სოლიდარობა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებისადმი.

ორატორები სასტიკად ილაშქრებდენ ინგლისის ძალდატანებითი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც შეეცადა მუსულმან ერების დამოუკიდებლობის შელახვას.

ახალი ოსმალეთი.

„ავადმყოფი ადამიანი“—აი რა სახელი უწოდეს ოსმალეთს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებიც იცნობდენ ძველ ოსმალეთის სინამდვილეს, მის ცხოვრებას, მდგომარეობას. და ეს შედარება—ავადმყოფ ადამიანთან ოსმალეთის მართლაც სწორი იყო.

ოსმალეთი წარმოადგენდა ომამდის კარ ჩაკეტილ, ევროპიდან ყოველგვარ კავშირს მოკლებულ სახელმწიფოს. ოსმალეთის ხალხს ცხოვრების, შემოქმედების ნიშან წყალიც არ გააჩნდა. ამის გამო ოსმალეთი სათამაშო ბურთი იყო ევროპის იმპერიალისტების ხელში და მათ შორის დავა სწარმოებდა ოსმალეთის დასაყოფად, თუ ვის რომელი ნაწილი რგებოდა ოსმალეთის. ევროპის ყაჩაღებმა კიდეც განახორციელეს რამოდენიმეთ თავიანთი ზრახვები. გერმანიის კოალიციის დამარცხების შემდეგ ანტანტას მიერ. ოსმალეთი, როგორც გერმანიის მოკავშირე ომში, დარჩა საკუთარ ძალების ამარა.

მოკავშირეები შეესიენ ოსმალეთს და განიზრახეს თავიანთი დიდი ხნის ოცნების განხორციელება. 1919 წ. მოიწვიეს ოსმალეთის წარმომადგენლები სამშვიდობო კონფერენციაზე და მოახვიეს მათ ცნობილი სევრის ხელშეკრულება, რომლის ძალით ოსმალეთი გადაიქცა საფრანგეთის და ინგლისის კაპიტალის სრულ მონად. ამ დროს გვეგონებოდათ, რომ „ავადმყოფ ადამიანმა“ დაასრულა თავისი საცოდავი არსებობა და სამუდამოდ განუტევა სული.

მაგრამ დიადი და უძლეველია მშრომელი ხალხის ნებისყოფა, შეუდრეკელია მისი სურვილები. დაბეჩავებულ, განადგურებულ, უფლებაახდილ, ნაციონალურად დამონავებულ ოსმალეთში იფეთქა მოძრაობამ. ამ განმათავისუფლებელ ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ქემალ-ფაშა; მის ირგვლივ შემოკრბენ ოსმალეთის სუვერენობის, ხალხის დამცველი ელემენტები, მათ აღმართეს აჯანყების დროშა როგორც უცხოელ ტირანების, ისე შინაურ გამცემლების წინააღმდეგ. მოთმინების ფიალა აღვსილი ოსმალეთის ხალხი ერთბაშათ გაყვა მათ და ამ ბელადების მეთაურობით მოიპოვა გამარჯვება ოსმალეთის ხალხმა. ნაციონალური მოძრაობა გაიზარდა, მან ღრმა ფესვები გაიდგა დაჩაგრულ ხალხში, ისინი იბრძოდნენ თავდავიწყებამდის და ასეთმა ბრძოლამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. ხალხის გასალკლდევებულმა ნებისყოფამ განდევნა საკუთარ ტერიტორიიდან მოძალადეები, დაგლიჯა სევრის სამარცხვინო ხელშეკრულება და აიძულა ინგლის-საფრანგეთის სისხლის მსმელები დაეწყოთ მათთან მოლაპარაკება, როგორც სწორს-სწორთან.

ლოზანას კონფერენციაზე ანტანტას ჯალათები კიდევ ერთხელ შეეცადენ ოსმალეთის დამორჩილებას. მაგრამ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების უდიდესი დახმარებით ოსმალეთმა მოიპოვა ლოზანაში ბრწყინვალე, თუმცა არა სრული გამარჯვება. საბჭოთა კავშირი—ეს ერთად ერთი ქვეყანაა. რომელიც არ ისახავს არავითარ მტაცებლურ მიზნებს ოსმალეთის მიმართ. და სწორედ ამ საბჭოთა კავშირის გულწრფელი დახმარებით შესძლო ოსმალეთის დელეგაციამ ლოზანაში დაეცვა თავისი პოზიციები.

ლოზანას ხელშეკრულების შემდეგ ოსმალეთის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. „ავადმყოფი ადამიანი“ განიკურნა. იშვა ახალი ოსმალეთი, ახალი ძალებით, ახალ სახელმწიფოებრივ წესწყობილებით. ფეოდალური, ტირანების სათარეშო ოსმალეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. დაიწყო ოსმალეთის დამოუკიდებელი ცხოვრება. დაიწყო აღმშენებლობის ხანა. დღეს ოსმალეთის მოღვაწეების მთელი ძალ-ღონე მიმართულია ოსმალეთის ეკონომიურად აღორძინებისაკენ. ეს საქმე ერთობ რთული ამოცანაა და ის მოითხოვს ხანგრძლივ პერიოდს, მაგრამ დაწყებული მუშაობა ოსმალეთში ნათელყოფს, რომ ოსმალეთის ხალხს აქვს უნარი და შესაძლებლობა მეურნეობის, ეკონომიურ ცხოვრების აღდგენის. რამოდენიმე ნაბიჯები ოსმალეთის მთავრობის მიერ გადადგმული ამის თავდებია.

მთავრობის მიერ მიღებულ იქმნა დადგენილება ინგლის-ბაღდათის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ,—რომლის აქციების უმრავლესობა ინგლისელებს ეკუთვნოდა.

განზრახულია გამოსყიდვა თამბაქოს მონოპოლიის, რომელიც იმყოფებოდა საფრანგეთის კომპანიის ხელში. აგრეთვე ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ჩესტერის ცნობილი კონცესიები.

ყოველივე ეს ზემოდ ჩამოთვლილი ღონისძიებანი ოსმალეთის მთავრობის, ხელს შეუწყობს ოსმალეთის ეკონომიურ განთავისუფლებას.

კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ოსმალეთის ხალხს. ევროპის და ამერიკის ყაჩაღებს არ მიუტოვებიათ ჯერ კიდევ ოსმალეთის თავის კლანჭებში მოქცევის სურვილი. მაგრამ ოსმალეთის ხალხი და მისი მთავრობა გაბედულად წავა წინ და ის დარწმუნებული იქნება, რომ მასთან არის საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი, რომელიც დაეხმარება მას ყოველგვარ გაჭირვებაში.

ნ. პ

ჩვენს წითელ კუთხეში

მე-7-დე ქართულ გაერთიანებული მეთაურთა სკოლა.

ფეხბურთთა გუნდი.

სკოლაში სულ რამოდენიმე კვირაა, რაც დაიწყეს ფეხბურთის თამაში. კურსანტებს ეტყობათ დიდი მონდომება და სიყვარული ამ საქმისადმი, და რამდენად მონდომებულნი არიან ისინი ამას გვიჩვენებს უკანასკნელი შეჯიბრება: 9 დეკემბერს კურსანტებმა ითამაშეს ცალკე სადარაჯო ათასეულთან. თამაში, მიუხედავად იმისა, რომ სადარაჯო ათასეულის ფეხბურთა გუნდი ძლიერ და სათანადოთ მომზადებულ ჯგუფს წარმოადგენს, დამთავრდა კურსანტების გამარჯვებით (შედეგი 6:0).

12 დეკემბერს კურსანტებმა ითამაშეს ქართულ დივიზიის მსუბუქ საარტილერიო დივიზიასთან. თამაში აქაც დამთავრდა კურსანტების გამარჯვებით (2:0).

14 დეკემბერს, სამხედრო პოლიტიკურ სკოლასთან შეჯიბრების დროსაც, თამაში დამთავრდა კურსანტების სასარგებლოდ (1:0).

კურსანტებმა კარგათ იციან, რომ გონებრივ განვითარებასთან ფიზიკური განვითარებაც აუცილებელია, რომ ისინი განუყრელი ნაწილი არიან ერთი მეორის.

რიო.

ბიბლიოგრაფია.

გამოვიდა 1-ლ ლეგიონის კედლის გაზეთი „წითელი მოლაშქრე“ № 25, რომელიც სრულიად ამართლებს თავის დანიშნულებას, როგორც გარეგნულის ფორმით, ისე შინაარსით.

უნდა ითქვას, რომ ხელმძღვანელები ცდილობენ მის ყოველმხრივ გამართლებაში.

თავში დახატულია წითელი მოლაშქრე, რომელსაც უჭირავს დროშა. დროშის ზოლი ოთხ სვეტად იკეცება მთელს გაზეთში და ჰყოფს წერილებს წითელი ხაზით.

შემდეგ მიდის სამი სურათი, რომელთაც გამოცდილ მხატვრის ხელი ეტყვია. 1. „უკანასკნელი გასროლა გამარჯვებით“ 2. „ძირს რელიგია“, და 3. კარიკატურა „ჩვენი მეთაურები და მეტრიული სისტემა“. ყველა სურათები დამაკმაყოფილებელია წერილები, ლექსები და იუმორი რიგზეა დალაგებული, მოკლე და აზრიანი.

მეთაური:

1. რელიგია და მეცნიერება.
2. სკოლა.
3. ბიბლიოთეკა.
4. პოეზია.
5. ლეგიონის ცხოვრება.
6. იუმორი.

გაზეთი კარგ იმედებს იძლევა.

—

უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის კედლის გაზეთის საიუბილეო №-რი ბევრად უკეთესადაა შედგენილი წინანდელ №№ შედარებით და სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ხელმძღვანელთა ცდა.

სურათები კარგია.

1. თავში, „კურსანტი სადარაჯოზე“.

2. კურსანტი სახლში მისული გლეხებს უამბობს თუ როგორ გაატარა წითელ ყაზარმაში თავისი ცხოვრება და ყველაფერ ცოდნასთან ერთად როგორ შეიძინა წერა-კითხვა“.

3. „ახალწვეულნი“.

4. იუმორისტული „შეშაზე“. სურათები კარგადაა შესრულებული და დიდს იმედებს იძლევა შემდეგისათვის.

წერილები და ლექსები უმთავრესად მიძღვნილი აქვთ ახლად კურს დამთავრებულებს და ყველგანა სჩანს თბილი გრძნობა ურთ-ერთისადმი და იმედიანობა წითელი ჯარის სადარაჯოებზე.

გაზეთი სრულიად მიღწეული იქნებოდა თავის სიმაღლემდის, რომ ორი გრძელი წერილი (ძვირფასო ამხანაგებო და 27 დეკემბერი) არ იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა წერილები მაინც ღირსშესანიშნავნი არიან და ამით გაზეთი არ დაიწუნება.

ანაგელის იუმორისტული ლექსები კარგებია.

ვუსურვებთ გაზეთის მესვეურთ კვლავ ენერგიულ მუშაობას.

სანი

1-ლ ლეგიონში.

25 დეკემბერს ჩვენს კლუბში დრამწრემ წარმოადგინა კომედია „მენშევიკები პარიზში“, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

მონაწილეობდა წრის მთელი შემადგენლობა, რომელთაც ეტყობოდათ თავისი როლის ცოდნა და შეგნება სცენაზე თავის დაჭერის.

1-ლი იანვრისთვის მზადდება ინსცენიროვკა „გოგია უიშვილი“ ქანთარიას შედგენით და გასამართლება ამავე გმირის.

გამოვიდა მორიგ №-ი კედლის გაზეთისა (№ 25) რომელიც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით.

ს—ნ.

დივლაზარეთის ცხოვრებიდან.

დივლაზარეთში კვლავ გამოცოცხლდა კულტურული მუშაობა. კლუბის გამგის ინიციატივით რვა დეკემბერს გაიმართა საღამო-წარმოდგენა. დადგმულ იქნა პიესა „პროლეტარი ქალი“. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი და ბოლოს ცეკვა. საღამო ჩინებული გამოდგა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

16 დეკემბერს ქარხანა „ტემზის“ მუშებთან კვლავ ერთად გაიმართა საღამო ფართო პროგრამით. წითელ არმიელებს გარდა დაესწრენ საბავშო სახლის ხელმძღვანელები და ბავშვები. წარმოდგენილ იქნა „სარჩობელაზედ“ და მხიარული კომედია. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი და ცეკვა.

დასასრულ „ტემზის“ მუშების კომუჯრედის წევრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის შეჰპირდა კვლავ დახმარებას ლაზარეთში წარმოდგენების მოწყობაში. კლუბის გამგემ მადლობით მიმართა მას აღუთქვა სამაგიერო დახმარება მუშებისათვის საღამოების გამართვაში.

გამოცოცხლდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოც, მოეწყო ტეხნიკურად, ყოველდღე სწარმოებს წიგნების გაცემა. ავადმყოფი წითელ არმიელები ხარბად ეწაფებიან კითხვას. უნდა აღვნიშნოდ, რომ ლიტერატურის სიმცირის გამო, ბიბლიოთეკა ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნილებას. ძალიან ცოტა გვაქვს ქართული ლიტერატურა, რომელსაც დიდი მოთხოვნილება აქვს ჩვენ წითელ არმიელებში.

ლ. ხუციშვილი.

ახალი პოლიტ სათამაშოები.

ჩვენმა საკლუბო სექციამ დაამზადა ორი ახალი პოლიტ-სათამაშო. 1, „პოლიტ. ბედის ტრიალი“ და 2 „პოლიტ-მოგზაურობა“, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევენ ჩვენს მოლაშქრეებს პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, კულტურულ, სამხედრო და სხვა მრავალ ცოდნათა შეძენაში.

რომ ყველა ნაწილები და გუნდები „წითელ კუთხეებში“ და სხვაგან, შემოიღებდენ მას:

1. „ბედის ტრიალი“ ითამაშება შემდეგნაირად: კედელზე ჩამოეკიდება კარდონი ირგვლივ შემოხაზულობით (არა ნაკლები სამმეოთხედი ადლისა) სადაც ასი წრეა ნომრებით. შუაში პირველი № და დანარჩენები ირგვლივ შემდეგი №-ში.

საჭიროა შვილდ-ისარი. ისარი ისეთი უნდა იყოს, რომ კარდონს ერჭობოდეს და არა ხვდეს.

ამოირჩევა სამი კაცისაგან შემდგარი ჟიური (კულტ მომუშავე, პოლიტშემადგენლობა და უფშემადგენლობა) რომელსაც აქვს ჩაბარებული ასი ბილეთი, კითხვებით, (პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, სამხედრო, კულტურულ და სხვა მრავალი.)

პირდაპირ რამდენიმე ნაბიჯზე სხდებიან 10—12 წითელი არმიელნი და რიგ-რიგობით ესვრიან ისარს. თუ შუაში, 1 №-ში მოარტყა, ჯილდოვდება უპასუხოთ და თუ სხვა ნომრებში, იმ ნომრის ბილეთს აიღებს და უნდა წაიკითხოს ხმა-მაღლა, რა კითხვაცაა შიგ, რომლის შემდგომ იძლევა პასუხს ხმა-მაღლადვე. თუ სწორედ მისცა პასუხი,—ჯილდოვდება.

2. „პოლიტ-მოგზაურობა“ ჩამოეკიდება „წითელ-კუთხეში“ ანუ სხვაგან გეოგრაფიული ქარ[illegible] ხელი ანუ სხვა ინიციატორი ამ თამაშისა შემოიკრებს წითელ არმიელებს და აუხსნის თამაშის მნიშვნელობას, საზოგადოდ მოგზაურობაზე და სხვა. (მაგ. ამერიკის აღმოჩენა, ექსკურსია და სხვა.)

საბჭოთა რესპუბლიკების რომელიმე კავშირში მოგზაურობა.

როგორ უნდა ვიმოგზაუროთ?

რამდენიმე ჯგუფი გაიყოფა და ამოირჩევს ერთ ხელმძღვანელს; ყველა ჯგუფს რომელიმე კავშირელის ჯარი დაერქმევა. ყოველ მხრიდან დასახულ პუნქტამდე მიმართულებით გაიზომება ერთნაირი მანძილი (ქალაქიდან, მინდვრიდან, მთებიდან ანუ სხვა, მაგ. თბილისიდან.) ვერსტობით და ყოველ ამ პუნქტზე დაერჭობა წითელი ბაირაღი.

სამი კაცისაგან შესდგება ჟიური, დამზადდება 150 ბილეთი, რომლებშიაც დაიწერება კითხვები (პოლიტიკური, სანიტარული, კულტურის დარგიდან, სამხედრო, ბუნების მეტყველება, გეოგრაფია, ხალხთა ისტორია და სხვა სამხედრო საქმეები...) ამავე ბილეთებზე აღნიშნულია ვერსტის რაოდენობა. აღებულია ცირკულით მაშტაბი (მაგ. დიუიმში 10) ჯგუფების ხელმძღვანელები მივლენ ჟიურისათნ, ამოიღებენ ბილეთს, მოვლენ თავიანთ ჯგუფთან და კოლექტიურად გამოიმუშავებენ პასუხს, რომლის შემდგომ მივლენ ჟიურისთანვე, ხელმძღვანელები, და ეუბნებიან პასუხს ხმა-მაღლა, თუ პასუხი სწორედაა გაცემული, მაშინ გაიზომება პირდაპირ დასახულ ადგილისკენ, როგორიც ბილეთზეა და ახალ პუნქტზე დაერჭობა მაშველი წითელი ბაირაღი. ჯგუფი მოვალეა გასცეს პასუხი ჟიურის, თუ რომელ ადგილზე გაჩერდა ის, ვინ მოსახლეობს იქ, რანაირ მეურნეობას მისდევს ხალხი, რა შესანიშნავი ადგილებია. (ქალაქი, სოფლები, მთები, მდინარეები, ჰავა და სხვა).

ჰანრი ბარბიუს

ბარბიუსის მოთხრობების მთავარი გმირი არის ომი, რომელიც, სადაც კი გაივლის, ყველასა და ყველაფერს ანადგურებს. ომი, რომელსაც აწარმოებს ერთად შეგროვილი ადამიანები, ადამიანები, რომელთაც ყოველ მათგანს ის ეჯავრება, მაგრამ ერთად თავშეყრილნი, დაჯგუფებულნი ორ მოპირდაპირე მხარეს, შეპყრობილნი რაღაც იდუმალ ძალით ერთმანეთს სპობენ და ანადგურებენ.

„ორი არმია, რომელიც ერთი მეორეს ებრძვის—ამბობს მოთხრობის ერთი გმირი—ეს ერთი დიდი არმიაა, რომელიც თვითმკვლელობას ჩადის“. დიაღ, ეს არის ერთი დიდი არმია, არმია მშრომელთა კლასის, რომელიც ერთი მეორეს კი არ უნდა ჟლეტდეს, არამედ დარაზმული და ერთად შეკავშირებული უნდა ებრძოდეს საერთო მტერს-მჩაგვრელთა კლასს.

მოთხრობა „ცეცხლში“ მოცემულია შემდეგი სურათი: ადამიანები გაყოფილა ორ ჯგუფად. ეს ჯგუფები ერთმანეთს ჩასაფრებიან ორმოებში და უცდიან მოხერხებულ დროს რომ ერთმანეთი გაანადგურონ. ზარბაზნების ჯოჯოხეთურ გრიალში ისპობა და ჰქრება ასეული სიცოცხლეები.

ორივე მხარე დარწმუნებულია თავის მომავალ გამარჯვებაში, რადგანაც თითეულს სწამს, რომ „ღმერთი ჩვენს მხარეზეაო“.

ერთ ავდრიან ღამეში ფრანგების ჯარები წინ მოიწევენ, რომ შეტევაზე გადავიდენ. მტერი იხევს. ფრანგები კვლავ იწევენ, მაგრამ ბოლოს აეჩნევათ გზა. მოდის ძლიერი წვიმა, მოსქდება საშინელი ნიაღვარი და წალეკავს იმ არემარეს, სადაც ბრძოლა სწარმოებს. სანგრები წყლით აივსებიან. ჯარებში კავშირი სწყდება. ისმის ზარბაზნების ბღავილი, მაგრამ ბუნების რისხვა იმდენად ძლიერდება, რომ სროლა თანდათან ნელდება და ჰქრება. თითქოს ორი ქვეყანა—ცა და დედა-მიწა ერთმანეთს ეჯიბრება განმანადგურებელ ძალთა სიძლიერეშიო. ცუდი ამინდით, უძილობით და უზომო ჯაფით მოქანცული ჯარისკაცები მიწაზე დაეყრებიან. ავიწყდებათ მტერი და მასთან ბრძოლა. მთელი ღამე ამ მდგომარეობაში გადის. მოდის განთიადი. დილის სინათლე ჰფანტავს ბურუს და ბრძოლის ველზე გამოჩნდება დახოცილთა გორები. მათ შორის არიან ცოცხლებიც, რომლებიც ამ ჯოჯოხეთურ ღამის შემდეგ თანდათან მოდიან გონს, დგებიან და ეძებენ ამხანაგებს. მაგრამ დახეთ მათ განცვიფრებას! აქ არიან არა მარტო ფრანგი ჯარისკაცები, არამედ გერმანელებიც. ისინი ამ ღამეს ერთმანეთში არეულან. ეს გუშინდელი სასტიკი მტრები, რომლებიც არაფრით არ ზოგავდენ ერთმანეთს, დღეს ერთნაირად განადგურებული, ერთად ყრიან დედა-მიწაზე.

„ამხანაგო, შეიძლება წამოვიდე და თქვენთან დავრჩე?“—ეუბნება ფრანგ ჯარისკაცს გერმანელი, რომელიც წამოდგება ზეზე და მიუთითებს კიდევ სხვა თავის ამხანაგებზე.

ისმის დაჭრილის ხმა: „ოხ, რომ შეიძლებოდეს ყოველივე ამის დამახსოვრება!“—ეს რომ შეძლებოდეს, შემდეგ ხომ ომიც არ მოხდებოდაო—ამბობს მეორე.

აქ დიდი ხნით მიძინებული ცეცხლი იღვიძებს ამ ადამიანებში და თითქოს პირი შეუთქვამთო, გაისმის ყოველი მხრიდან:

ძირს ომი!...

უნდა მოვიქცეთ ისე, რომ შემდეგში არ მოხდეს ომი!...

კმარა, კმარა! არ არის საჭირო ომი!...

უნდა ვიცოცხლოდ, უნდა ვიცოცხლოდ ყველამ... შენ... მე... გაიძახდა ყველა და სდგებოდენ ზეზე ეს ტალახში მოსვრილი, მიწასთან გასწორებული ადამიანები.

— ჩვენ ვასრულებდით ჯალათების როლს.

ჩვენ, სხვა და სხვა ერები ერთმანეთს ვჟლეტდით. რისთვის?—?

— ჩვენ არ გვინდა „მტრებზე“ გამარჯვება. ჩვენ უნდა დავამარცხოდ არა „მტრები, არამედ ომი!

და მათ მიაპყრეს თვალები თავიანთ ქვეყნებს, სადაც გაბატონებულიყო ერთი მუჭა ადამიანებისა, და იმ დროს, როცა ომის დემონი აუარებელ სიცოცხლეს ანადგურებდა, ისინი ზეიმობდენ და უთვალავ სიმდიდრეს აგროვებდენ.

მოთხრობაში „სინათლე“ აწერილია იგივე ომი მთელი თავისი საშინელებით. მოთხრობის მთავარი გმირი პოლენი მსახურობს მოხელედ ერთ ქარხანაში. ომის დროს მას გაიწვევენ ჯარში. ის მიდის ომში სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ ამას მოითხოვდა სამშობლო ქვეყნის ინტერესები. მას დასჭრიან და ბრუნდება დროებით თავის სახლში. პოლენს საშინელი პესიმიზმი და გულგრილობა იპყრობს. მაგრამ ბოლოს მასში იღვიძებს სიცოცხლის შეგნება და გადასწყვეტს ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრების ფერხულში. ომის საზიზღარმა შედეგებმა მოახდინეს გარდატეხა მის მსოფლმხედველობაში. ის სწუხს ტყვილა უბრალოდ დაკარგულ წლებზე, როდესაც მას იმ თავითვე შეეძლო [illegible]დეული იყო კიდეც დაახლოებოდა ჩაგრულთა კლასს და მათი ბედი გაეზიარებინა.

— დიაღ, ამბობს პოლენი, არის ღვთაება, რომელსაც არ უნდა აუქციო გვერდი და თავისი სული მიმართო უსაზღვროებისაკენ და მიიღო მონაწილეობა ყველას ცხოვრებაში. ეს ღვთაება არის ჭეშმარიტება.

პოლენი არის სახე თვით ავტორის, რომელმაც თვით განიცადა ომი და ხმა აღიმაღლა კაცობრიობის ამ განმანადგურებელი სენის წინააღმდეგ და მოუწოდა მთელი ქვეყნის ჩაგრულთა კლასს შეერთებულ ბრძოლისაკენ ომის საწინააღმდეგოდ.

X.

აუვები, მიემართე ხა ეცნობიან ყველა- ი ჯგუფიც სწორედ ნაგრძობს უფრო წინ სვლა. რომელიც სწრაფად ხსნის და უფრო მაღლე მივა დასახულ ადგილ ამდეშემდეგ გაამუქებს ამ ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, მისს ჩვენთან დამოკიდებულებას, და სხვა.

ეს გამარჯვებული ჯგუფი ჯილდოვდება.

ხანი.

უნტ. მეთ. მოსამზ. სკოლაში.

27 დეკემბერს დიდის ზეიმით მოხდა გამოშვება უნცროს მეთაურებისა (მთელი შემადგენლობიდან 80 პროცენტ.)

პარადი იწყება 1 საათზე.

დღე მზიანი.

კურსანტები, ყველა სპეციალობის, ჩამწკრივდენ სკოლის ეზოში. თავზე ფრიალებს ბორდოს ფერი დროშა. უკრავს პირველ ლეგიონის მუსიკა.

ყოველ ნაწილებიდან შეგროვდენ სტუმრები.

დაიწყო მხურვალე მილოცვები:

1. ართმელაძე (დივ. შტაბი).
2. თალაკვაძე) პოლ.-განყოფ.
3. გამურია)
4. იაკობაშვილი (დივ. რევ. ტრიბუნალი)
5. კუტუბიძე (სკ. ყოფ. სამხკომი)
6. დონაძე (სკ. სამხ. კომისარი).
7. ბაბია (1-ლი ლეგიონი)

ყოველ სიტყვის დასრულების შემდეგ გაისმოდა „ინტერნაციონალი“ და დაუსრულებელი „ვაშა“.

მილოცვების შემდეგ მოხდა დაჯილდოვება ყველაზე კარგად კურს დამთავრებულ კურსანტებისა.

4 კაცს საათები—სამხედრო საქმის კარგად შეთვისება და სწავლისთვის; 3 კაცს საათები—პოლიტიკური ცოდნის ღირსეულად შეწავლისათვის; და 19 კაცს—წერაკითხვის ახლად დამთავრებულთ—კურსების ღირსეულად დასრულებისათვის—წიგნები (ბელეტრისტიკა და სხვა) წიგნაკები, ცხვირსახოცები, ფანქრები, რვეულები (თვითეულს ყველას).

დაჯილდოვების შემდეგ გადღებულ იქმნა როგორც დასაჩუქრებულთა სურათის გადაღება კერძოდ, ისე საერთოდ მთელი სკოლისა, სტუმრებითურთ.

საპატივცემლო გავლით დასრულდა პარადი.

პარადის შემდგომ მოხდა ყაზარმის დათვალიერება, რომელმაც თავისი მირთულობით ამოუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მნახველებზე.

ფერად ქაღალდების, ყვავილების და გირლიანდებში ამაყად მოჩანს წითელი კუთხეები, კომუნიზმის ბელადთა სურათებით და წითელ კურსანტების შემოქმედებით.

ყველა ეს კურსანტების მოწყობილია ამხ. დ. ჭანკვეტაძის ენერგიული მეცადინეობით.

აქა სჩანს ხელი ღირსეულ მასწავლებლის ამხ. გრ. მაჭავარიანისა, რომელმაც შესძლო გამოშვება 65 წერა-კითხვის უცოდინარისა, რომელთაც შეისწავლეს წერა კითხვა და საერთო განვითარება. აქა სჩანს ხელი საყვარელ სამხკომის ამხ. დონაძისა და მამობრივი სიყვარული სკოლის უფროსის ამხ. გ. მაყაშვილისა.

ყაზარმის შესავალს ამშვენებს საიუბილეო №-რი კედლის გაზეთისა, რომელიც თავისი სილამაზით და შინაარსით ატყვევებს მკითხველთ, აქაა წერილები, როგორც წამსვლელ ისე დამრჩომ კურსანტებისა, თბილი გრძნობით დაწერილი გამომშვიდობებება და სხვა.

დათვალიერების შემდეგ სტუმრები მიწვეულ იქმნენ სადილზე.

გრძელ ყაზარმაში სამ რიგადაა გაშლილი სუფრა აქეთ-იქით კურსანტები და შუაში სტუმრები.

საუცხოვო სუფრა სამი თავი საჭმლით და მრავალ საუზმეულობით, საუცხოვო მომზადებით აკვირვებს, ყველას თუ ვით შესძლო ამ სკოლის ხელმძღვანელებმა ასეთი სადილის ჯარში მომზადება.

გაისმის მუსიკა, ვაშა სადღეგრძელოები, სიმღერა, კურსანტებისაგან შემდგარი ზურნა, ცეკვა და...

ამ მხიარულებაში შემოდიან ამხ. თენგიზი და ლექვთაძე, რომელთაც მთელი სკოლა სიხარულით და ვაშას ძახილით ხვდება საყვარელ უფროსს ამხანაგებს.

ამხ. დონაძე ამბობს სიტყვას. რომლის შემდგომ მოკლე მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით მიმართავს კურსანტებს ამხ. თენგიზი და გაისმის „ინტერნაციონალი“ მშვენიერ სიტყვას სიტყვას ამბობს ამხ. ლექვთაძე, რომლის შემდეგ კურსანტი გოგოშიძე ღირსეულად უპასუხებს ყველას ამხ. სახელით და სიტყვას იძლევა, რომ ღირსეული შვილები იქნებიან საბჭოთა რესპუბლიკისა და დამცველნი წითელი დროშის.

სუფრას ამშვენებდა უღვინობა, რომელიც უკვე დამკვიდრდა ჩვენს ჯარში და აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ უღვინოთაც შეიძლება კარგად ჩატარდეს ზეიმი და სუფრა.

კმაყოფილი სტუმრები სანეტარო შთაბეჭდილებებით გამოემშვიდობნენ კურსანტებს.

საღამოზე 1-ლ ლეგიონის კლუბში კურს დამთავრებულებს აჩვენეს რევოლიუციონური სურათები.

1. „ოქტომბრის რევოლიუცია“ და
2. „წ. არმიის 5 წ. არსებობა“

ახლად კურს დამთავრებულნი გამოიყურებიან არწივის სიამაყით.

ხანი.

სამხედრო-სარედაქციო კოლეგია.

ქართული წითელი ჯარი თავის არსებობიდან მოკლებული იყო სამხედრო ხასიათის სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზედ. ამაზედ ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ არა ერთხელ ყოფილა დაწერილი. საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ დაარსებული იყო სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება, რომელიც მიუძღოდა სამხედრო-გამომცემლობის საქმეს. განყოფილება დიდ გაჭირვებას განიცდიდა უსახსრობის გამო, მაინც მიუხედავათ ამისა მან ცოტაოდენის გაკეთება მოახერხა ამხნის განმავლობაში. სამხედრო-გამომცემლობას უკანასკნელ ხანში არ ჰქონდა გარკვეული მტკიცე სამოქმედო ასპარეზი. იგი წარმოადგენდა მეტად სუსტ აპარატს, მას გასაქანი ჰქონდა მხოლოდ ქართულ დივიზიის ფარგლებში. თვით ცხოვრების ვითარებამ წარმოშვა ისეთი პირობანი, როდესაც დივიზიის გარეშე მყოფი სამხედრო დაწესებულებანი იძულებული იყვენ პირადი ინიციატივით დაეკმაყოფილებიათ თავისი მოთხოვნილებანი სამხედრო სახელმძღვანელოების ბეჭვდა-გამოცემაში ვინაიდან ამ გვარი ცალკე ინიციატივა დიდ გაუგებრობას შეიტანდა ტერმინოლოგიის მხრივ, სამხედრო მეცნიერების ცნებათა განსაზღვრაში, დივიზიის სარდლობამ აღძრა შუამდგომლობა საკითხის მოგვარების შესახებ. კავკასიის წითელ დროშოვან არმის სარევოლიუციო საბჭომ, განიხილა რა ეს საკითხი, თავისთან დაარსა საბჭოთა საქართველოს სამხედრო-სარედაქციო კოლეგია. კოლეგიის თავჯდომარედ დანიშნულია ამხ. სოსო გედევანიშვილი. კოლეგია უკვე ჩამოყალიბდა და შეუდგა მუშაობას. ამ ჟამად ერთდროულად იბეჭდება რამოდენიმე სახელმძღვანელო და აჩქარებულის ტემპით ვითარდება საქმე.

კოლეგიას დასახული აქვს უახლოეს დროში მიაწოდოს ქართულ წითელ ჯარის ნაწილებს ყველა უსაჭიროესი წესდებები და სახელმძღვანელოები. მეორე რიგში გამოცემა მეორე ხარისხოვან საჭიროების წიგნები.

ამ რიგად ჩვენი წითელი ჯარი ახლო მომავალში უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო წიგნებით და სამხედრო მეცნიერებას დაეწაფებიან ქართულ დივიზიის ნაწილები.

ვუსურვოთ ახალ დაწესებულებას წარმატება და დაუშრეტელი ენერგია ჩვენი წითელი ჯარის გონებრივ საზრდოს მოწოდების საქმეში.

გ—ნი.

ახალი ამბები

სკოლები ზემო ხევსურეთში

სოც. აღზრდის მმართვ. ზემო ხევსურეთში გაგზავნა მასწავლებლები, რომლებმაც გაისისათვის უნდა მოამზადონ ნიადაგი მთელი რიგი სკოლების გასახსნელათ.

მისალმება.

გლეხ. კომ. ასარჩევათ დუშ. მაზრაში მემდგარმა ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საქ. ცენ.-აღმ. კომიტეტს, და აღუთქვა მას ყოველმხრივი დახმარება გლეხ. სასახლის მოსაწყობათ.

ბრძოლა ეპიდემიასთან.

ვინაიდან ამ ბოლო ხანებში ძლიერ გახშირდა ციმბირის ჭირით ავათმყოფობა ჯანმ. კომ. მთავრობიდან გამოითხოვა თანხა მასთან საბრძოლველათ.

ახალი განკარგულება.

ფ.—ტელ. სახ. სახ. კომისარ. მოახდინა განკარგულება, რითაც აღკრძალულია მისამართების შემოკლებულათ წერა საფოსტო-ჭამანათებზე და წერილებზე.

ბავშვების თავშესაფარი.

ქალაქის აღმასკომის მც. პრეზ. დადგენილებით გადაწყვეტილია მოეწყოს ბავშვებისათვის დამატებითი თავშესაფარი.

დამხმარე ავტომობილები.

ქალაქის აღმასკომმა დაადგინა გადასცეს სასწრაფო დახმარების სადგურს ორი ავტომობილი.

კლუბის გაქურდვა.

27 დეკემბერს გაქურდეს არსენალის კლუბი, საიდანაც წაიღეს ბუტაფორიული ტანისამოსი და სხვა სიმდიდრე.

უბედური შემთხვევა.

19 თებერ. ქუჩაზე ტრამვაიმ გადასრისა წალკის უნცრ. მილიციელი არტემ ხევსურიანი.

თავის დაჭრა.

27 დეკემბერ. მოქ. ნინა შულერმა რევოლვერით დაიჭრა თავი. თავის მკვლელობის განზრახვა გამოურკვეველია.

წ. არმ. ცენტრალ. კლუბში.

აღნიშნული კლუბი 5 იანვრიდან გადადის ახალ ბინაზე, ყოფ. მცირე თეატრის შენობაში.

სახელის შეცვლა.

წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბი ამიერიდან იწოდება ქართ. მსროლელ დივ. ცენტ. კლუბად.

ახალი ჟურნალი.

ქარ. დივ. პოლიტგანყოფილებას განზრახული აქვს გამოსცეს ყოველთვიური სახ. პოლიტიკური და სალიტერატ ხასიათის ჟურნალი.

ახალი რეპერტუარი ჯარისთვი

შემდგარია კომისია, რომელიც იმუშავებს ჯარისათვის საზაფხულო რეპერტუარს.

წარმოდგენა.

ორ იანვარს ქ. დ. ცენტ. კლუბ წავა მორიგი იაფ-ფასიანი წარმოდგენ „ბატონი და ყმა“.

მეცნიერება და ტეხნიკა

ცოტა რამ ახალი სტილის შესახებ.

საუბედუროდ ჩვენში კიდევ ბევრი მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც ე. წ. ახალი სტილის შემოტანა ჩვენს კალენდარში, რაღაც უცნაურად და ეშმაკეულობად მიაჩნიათ. რაშია საქმე? ნუ თუ ახალ სტილზე გადასვლა მართლა ასეთია? სრულიადაც არა. ახალი კალენდარი ანუ ახალი სტილი, როგორც ამას ეძახიან ჩვენში, სინამდვილეში ახალი კი არა ძველია. მთელი განათლებული ქვეყნები ამ სტილზე აწარმოებენ თავის კალენდარს და ეს იმიტომ, რომ ის უფრო მეცნიერულია, დედა მიწის შამოვლა მზის გარშემო უფრო სიზუსტით არის გამოანგარიშებული და მრავალი წლების გასვლით უფრო ცოტა შეცდომები გროვდება.

თვითმპყრობელობის დროს რუსეთში მიღებული იყო იულიანის კალენდარი. ეს ის კალენდარია. რომლითაც ჩვენ ვაწარმოებდით წელთ აღრიცხვას რევოლიუციამდე და რომელსაც საუბედუროდ ჯერ კიდევ ვერ გადასჩვევია ჩვენი ქვეყნის ფართო მასები.

რომ უფრო გასაგები იქნეს ახალი სტილის უპირატესობა ძველთან შედარებით, მე მოვახდენ მოკლე ისტორიულ ექსკურსიას კალენდრის ისტორიაში და შევეცდები დავამტკიცო ახალი სტილის უპირატესობა.

ძველი კალენდარი თავის დასაწყისს იღებს 44 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ, და დიდიხნის განმავლობაში იხმარებოდა. მაგრამ საშვალო სიდიდე იმ წელიწადის, რომელსაც ეძახაინ სამოქალაქო წელიწადს რამოდენიმედ განსხვავდებოდა ტროპიულ წლისაგან. იმ რიცხვებს შორის რომლებიც აღნიშნავდენ ახალი წლის დასაწყისს, საგრძნობი ცვლილება მოხდა, ასე რომ თუ ამ კალენდარში არ იქნებოდა შეტანილი შესწორება, რამოდენიმე ხნის განმავლობაში შეცდომები ბევრი დაგროვდებოდა და წლის რომელიმე დრო მაგ. ზამთარი ამ კალენდრით დაიწყებოდა (რა თქმა უნდა არა თვისი სიცივეებით, არამედ ჩვენი გამოთვლით) ზაფხულში, და ასე ქვევით და თანდათანობით სხვა და სხვა თვეებში დაიწყებოდა ყოველთვის.

პირველი შესწორება ამ კალენდარ შეიტანა ე. ი. ნიკეიის მსოფლიო ქრი ტიანულმა ყრილობამ. ეს იყო 335 ყრილობამ დაადგინა ისეთი რეფორ მოეხდინათ არსებულ კალენდარში, რ აღდგომის დღესასწაული ყოველი წლ ბით ერთ და იმავე დროს მომხდარიყ ეს რეფორმა იმაში მდგომარეობდა, რ გაზაფხულის ბუნიობა მათი ფიქრით გორც აღნიშნულ ყრილობის წელს მ და უნდა მომხდარიყო 21 მარტს ყოვ წლიურად. ეს ასედაც იქნებოდა, რ იულიანის კალენდრის მიხედვით სა ქალაქო წლის საშვალო სიდიდე ტრ პიულის ტოლი ყოფილიყო. მაგრამ მოქალაქო წელიწადი შესდგება 365 25 მეასედი დღე ღამისაგან, ხოლო ტრ პიული კი 365 დღე ღამისაგან. მაშა დამე ამ ციფრების მიხედვით ტროპ ლი წელიწადი ნაკლები ყოფილა წუთითა და 8 წამით. აქედან კი გამ დის, რომ იულიანის კალენდრით ყო ლი 4 წლის შემდეგ გაზაფხულის ბუნი ბა, იმის მაგივრად, რომ დადგეს მარტს სწორედ იმ წამში, როგორც ნიკეიის ყრილობის დროს მოხდა, ვ ორებ ყოველი 4 წლის შემდეგ 44 თით 34 წამით ადრე დგება. ამნაირ წლების განსაზღვრულ რიცხვის გასვ შემდეგ, თუ გამოვითვლით 325 წლ ბუნიობა დადგა 20 მარტს, შემდეგ მარტს, 18 მარტს და ასე შემდეგ. თი სისტემატიური ცვლა ბუნიობის რტილს შეამჩნიეს ასტრონომებმა გამოაცხადეს. ხოლო ამით ისარგ რომის პაპამა გრ. მერვემ და მოინდ აეცდინა თავიდან შეცდომები. მ რეფორმა იწოდება ახალ სტილად რამ ამაზე შემდეგ.

შ.

ჩვენი ფოსტა.

კურსანტ დი—ტონს. თქვენი ლ „ძლვნად ლაბორატორულ თოდს“ არ გავა. გამოგზავ კორესპონდენციები ნაწილის ც ვრებიდან.

ამხ. ნამგალს თქვენი ლექსი თელი ნაპერწკალი“ სუსტ დაიბეჭდება. სწერეთ კორესპ ციები ნაწილის ცხოვრებიდან.

ყუმბარა

შარადა-გამოცანა.

ჩვენს არმიელებს, მინდა
ვუძღვნა ერთი შარადა
ორი სიტყვით შესდგება
ყველას გასახარადა!

* * *

ყველაფერს ანიავებს—
მღერის ნაირ არიას;
მისთვის დრო არ არსებობს,—
იცის ცუდი დარია!..

უყვარს კივილით ცეკვა,—
ხშირადა სტუმრობს ველსა,
წინ მყოფი სამი ასო
მოსწყვიტეთ მის სახელსა.

ეხლა საჭირო არის
დეპეშებს რით გზავნიან,
(ამ საგანს ხომ ყველანი
მიხვდებით რაცა ჰქვიან!)

უკანა ოთხი ასო
მოვსწყვიტოთ,—დაგვჭირდება,
და მივაბათ სამ ასოს—
ეს არ გაგვიჭირდება!

ეხლა მოვსძებნოთ, ძაფებს
რაზე ართავდენ ძველად—
ამ საგნის წინა სამი
ასო მოვკვეთოთ ხელად..

დასასრულს, წინა ასო
უნდა წავართოთ ყვავილს,
რომელიც პატარაა—
ყველაზე ადრე ჰყვავის;

და მივუმატოთ წინ მყოფთ—
დასრულდება შარადა,
გამოსაცნობად ოფლი
არ წაგსკდებათ ღვარადა...

* * *

თუ ვინ ავსახე მე აქ,—
მშრომელთ უმღერის მარად;
ყველა მტრებს თავ-ზარსა სცემ
საბჭოებს უდგას ფარად!..

დ